

იდენტობის პროცესების კავშირი აღზრდის განზომილებებთან

რუსუდან ახვლედიანი

სამაგისტრო ნაშრომი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის
კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა*

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

იდენტობის ფორმირება საკმაოდ ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია. აღზრდის თავისებურებები იდენტობის პროცესების შესწავლისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოქმედ ფაქტორად განიხილებოდა.

ჩვენი ინტერესი გამოიწვია მოზარდის იდენტობის პროცესების ფორმირების კავშირმა მშობლის მიერ განხორციელებულ აღზრდის განზომილებებთან (მხარდაჭერა, ქცევითი კონტროლი, ფსიქოლოგიური კონტროლი).

ჩვენ მიერ განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 510 მოზარდმა ($M.=15.4$. $S.D.=1.24$). კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა, თუ როგორ წინასწარმეტყველებს დედისა და მამის აღზრდის განზომილებები მოზარდის იდენტობის პროცესებს და როგორია იდენტობის პროცესების ურთიერთკავშირი ქართულ მოზარდებში.

მონაცემების მრავლობითი რეგრესიით დამუშავებისას გამოვლინდა, რომ მოზარდის არჩევანის გაკეთების, არჩევანთან იდენტიფიკაციის, რეფლექსურ სიღრმისეული ძიების და ალტერნატივების ძიების პროცესების მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორია დედის მხარდაჭერა. მუდმივი ძიების და არჩევანის გადასინჯვის პროცესების დადებითი პრედიქტორი-დედის ქცევის კონტროლი, ხოლო მუდმივი ძიებისა კი ფსიქოლოგიური კონტროლი.

არჩევანის გაკეთებისა და რეფლექსურ სიღრმისეული ძიების დადებითი პრედიქტორი აღმოჩნდა მამის მხარდაჭერა, ალტერნატივების ძიებისა კი მამის ქცევის კონტროლი.

ჩვენი შედეგები საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ მშობლის აღზრდის მახასიათებლებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მოზარდების იდენტობის პროცესების ფორმირებაში. რაც ვრცლად განხილულია კვლევის დისკუსიის ნაწილში.

საკვანშო სიტყვები: იდენტობის პროცესები; აღზრდის განზომილებები; ქართული კონტექსტის გავლენა იდენტობაზე;

Abstract

Identity Formation is a dynamic and complex process. Several researchers share an idea that parenting is the most important factor to influence the processes of identity formation. Our interest is focused on association between parenting dimensions and identity processes.

Therefore, we studied 510 teenagers ($M. = 15.4$ $S.D. = 1.24$). Our research aimed to study on how the mother's and the father's parenting dimensions predict identity processes of adolescents and what was the relationship between the identity processes in Georgian teenagers.

The results showed that the mother's support was a significant positive predictor of commitment making, identification with commitment, exploration in breadth and exploration in depth processes. The mother's behavior control was a positive predictor of ruminative exploration and reconsideration of commitment and psychological control of the ruminative exploration processes.

The father's support was also a positive predictor of commitment making and exploration in depth, behavior control for exploration in breadth.

The results were interesting for many significant influences between parenting dimensions and identity formation processes. Which we enabled to formulate in detail in our study.

Key words: Identity formation; Parenting Dimensions; Influence of the Georgian context on the identity formation.